ასაკებისა და ეტაპების კითხვარი®



ქართული პილოტური ვერსია 3.0

# 36 თვის კითხვარი

## 34 თვე და 16 დღიდან, 38 თვე და 30 დღის ჩათვლით

შევსების თარიღი: ______________________________

**ბავშვის შესახებ ინფორმაცია**

:______________ :______________ :______________

: ______________________________ თუ ბავშვი დაბადებულია დღენაკლული, დღენაკლულობა კვირეებში: ________

: ______________________________ ბავშვის სქესი: O ვაჟი O ქალი

**ვინ ავსებს კითხვარს:**

:______________ :______________ :______________

: დამოკიდებულება ბავშვთან:

O მშობელი O ძიძა O პედაგოგი O ბავშვზე ზრუნვის პროვაიდერი

O ბებია/ბაბუა/სხვა (ნათესავი) O მიმღები მშობელი O სხვა

: ______________________________

______________________________

: ______________ : ______________

(ელ.ფოსტა): ______________________________

: ______________________________

ინფორმაცია პროგრამის შესახებ:

______________________________

: ______________________________

: ______________________________

______________________________

: ______________________________

: ______________________________



Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ-3™), Squires & Bricker. © 2009 and Georgian translation © 2013 Brookes Publishing Co. Translated by permission

ASQ-3

**36 თვე: 34.16 - 38.0**

◊
◊
◊
◊ :......................................................

## კომუნიკაცია

| | დიახ | ზოგჯერ | ჯერ არა | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. თუ ეტყვით: მაჩვენე შენი ცხვირი, თვალი, თმა, ფეხი და ა.შ., იჩვენებთ ბავშვი სხეულის შვიდი ნაწილს? (ნაწილები შეიძლება გიჩვენოთ საკუთარ თავზე, ან თოჯინაზე). მონიშნეთ "ზოგჯერ" თუ სწორად გიჩვენებთ სხეულის სამ ნაწილს მაინც. | ○ | ○ | ○ | ___ |
| 2. ამბობს სამ- ან მეტ სიტყვიან წინადადებებს? მოიყვანეთ მაგალითი: ________________________________ | ○ | ○ | ○ | ___ |
| 3. დახმარებისა და მაგალითის მიცემის გარეშე სთხოვეთ ბავშვს შემდეგი მითითებების შესრულება: „დადე წიგნი მაგიდაზე", „დადე ფეხსაცმელები სკამის ქვეშ". შეასრულებს სწორად ბავშვი ორივე დავალებას? | ○ | ○ | ○ | ___ |
| 4. ნახატებიანი წიგნის დათვალიერებისას გეუბნებათ ბავშვი რა ხდება სურათზე, რა მოქმედება ვითარდება იქ? (მაგ.: მირბის, ყეფს, ტირის და ა.შ.) თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ: „რას აკეთებს ძაღლი, ბიჭი?" და ა.შ. | ○ | ○ | ○ | ___ |
| 5. აჩვენეთ თქვენს ბავშვს როგორ მოძრაობს მისი ქურთუკის ელვა-შესაკრავი ზევით და ქვევით. შემდეგ ისევ დააყენეთ შუაში და სთხოვეთ აწიოს "ზემოთ". შემდეგ კვლავ დააყენეთ შესაკრავი შუაში და სთხოვეთ ჩაწიოს ის "ქვემოთ". გაიმეორეთ ეს დავალება რამდენჯერმე. სწორად შეასრულებს ბავშვი თქვენს დავალებას ორივე მიმართულებით? | ○ | ○ | ○ | ___ |
| 6. სწორად გიპასუხებთ ორივე კითხვაზე: „რა გქვია?", და „რა გვარი ხარ?" | ○ | ○ | ○ | ___ |

ქულა სულ ___


Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ-3™), Squires & Bricker. © 2009 and Georgian translation © 2013 Brookes Publishing Co. Translated by permission

# მსხვილი მოტორიკა

| | | დიახ | ზოგჯერ | ჯერ არა | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მოიქნევს ფეხს წინ, ბურთზე დასარტყმელად ისე, რომ ამ დროს ხელით არ ეყრდნობოდეს რაიმეს და არ დაკარგოს წონასწორობა? |  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 2. ახტება ორივე ფეხით ერთდროულად? (ისე, რომ ორივე ფეხი ერთდროულად მოაცილოს იატაკს) |  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 3. ადის კიბეებზე ფეხის მონაცვლეობით? (მაგ.: მარჯვენა ფეხს დგამს ერთ საფეხურზე, მარცხენას - შემდეგ საფეხურზე). შეიძლება ხელს კიდებდეს სახელურს ან კედელს. |  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 4. რაიმეზე მოჭიდების გარეშე, ერთი წამის განმავლობაში მაინც, დადგება ცალ ფეხზე? |  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 5. ისვრის ბურთს, მხრის სიმაღლეზე აწეული ხელით? (ფეხზე დამდგარი აწევს იდაყვს მხრის სიმაღლეზე და ისვრის ბურთს წინ. არ ითვლება ბურთის დაგდება, ან გაგორება, ან დაწეული ხელით სროლა .) |  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 6. გადახტება იატაკიდან ორივე ფეხის ერთდროულად აწევით წინ, 15 სმ და მეტ მანძილზე? |  | ○ | ○ | ○ | ___ |

ქულა სულ ___



Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ-3™), Squires & Bricker. © 2009 and Georgian translation © 2013 Brookes Publishing Co. Translated by permission

# ნატიფი მოტორიკა

| | | დიახ | ზოგჯერ | ჯერ არა | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თუ ბავშვის თვალწინ გაავლებთ ხაზს ზემოდან ქვემოთ, ფურცლის ზემოდან ქვედა ბოლომდე, მოგბაძავთ ბავშვი და გაავლებს ასეთივე ვერტიკალურ ხაზს? (სთხოვეთ ბავშვს, გააკეთოს იგივე თავადაც. არ მისცეთ უფლება მიყვეს თქვენს მიერ გავლებულ ხაზს). |  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 2. აცვამს მძივებს ან მაკარონს თასმაზე (თოკი, ფეხსაცმლის ზონარი)? |  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 3. ბავშვის თვალწინ დახატეთ ერთი წრე. სთხოვეთ მას გადახატოს წრე. მოგბაძავთ ბავშვი და მოხაზავს მსგავსს წრეს? არ მისცეთ უფლება ფანქარი გააყოლოს თქვენს მიერ დახაზულ წრეს. |  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 4. თუ ბავშვის თვალწინ გაავლებთ ხაზს, ფურცლის ერთი ბოლოდან მეორემდე ჰორიზონტალურად, მოგბაძავთ ბავშვი და გაავლებს ასეთივე ჰორიზონტალურ ხაზს? (სთხოვეთ ბავშვს, გააკეთოს იგივე თავადაც. არ მისცეთ უფლება მიყვეს თქვენს მიერ გავლებულ ხაზს). |  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 5. ცდილობს ბავშვი გაჭრას ფურცელი მაკრატლით? არ არის აუცილებელი ქაღალდის გაჭრა. საკმარისია მაკრატლის პირების სწორი (გაშლა-დაკეცვა) მოძრაობა. (ბავშვს ერთ ხელში უნდა ეჭიროს მაკრატელი და მეორე ხელში ქაღალდი. შეიძლება უჩვენოთ, როგორ იხმაროს მაკრატელი). დაიცავით უსაფრთხოება, მაკრატლის გამოყენების დროს. |  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 6. ხატვის დროს უჭირავს ბავშვს ფანქარი ცერით, საჩვენებელი და შუა თითებით, როგორც მოზრდილებს? | | ○ | ○ | ○ | ___ |

ქულა სულ ___


Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ-3™), Squires & Bricker. © 2009 and Georgian translation © 2013 Brookes Publishing Co. Translated by permission

# პრობლემის გადაჭრა

| | დიახ | ზოგჯერ | ჯერ არა | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. თუ ბავშვის დასანახად ჩაამწკრივებთ ოთხ საგანს (კუბიკებს, მანქანებს ან სხვა სათამაშოებს), მოგბაძავთ ბავშვი და ისიც დაალაგებს მწკრივში ოთხ საგანს?  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 2. როცა რაიმე უნდა და ვერ წვდება თუ მოძებნის სკამს ან ყუთს, რომელზეც საგნის მისაწვდომად შედგება? (მაგ: თაროდან სათამაშოს ასაღებად, ან სამზარეულოში თქვენს "დასახმარებლად") | ○ | ○ | ○ | ___ |
| 3. როდესაც უჩვენებთ ნახატზე მოცემულ, ადამიანის დაუმთავრებელ გამოსახულებას და ეკითხებით ვინ არის ეს? დაასახელებს ბავშვი ადამიანის ან მსგავსი არსების აღმნიშვნელ სიტყვას? მაგ.: თოვლის ბაბუა, კაცი, ბიჭი, მაიმუნი და ა.შ.  ჩაწერეთ ბავშვის პასუხი ______________________________  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 4. როდესაც სთხოვთ:  „გაიმეორე შვიდი, სამი“, გაიმეორებს ციფრებს იგივე თანმიმდევრობით? თუ საჭიროა, უთხარით ციფრების სხვა კომბინაცია, მაგ: "რვა, ორი". უპასუხეთ "დიახ" თუ ბავშვმა გაიმეორა ციფრების რომელიმე ერთი კომბინაცია მაინც. | ○ | ○ | ○ | ___ |
| 5. აჩვენეთ ბავშვს როგორ ააშენოს ხიდი კუბიკების, ქილების, ან ყუთებისაგან. მოგბაძავთ ბავშვი და ააშენებს მსგავსს ხიდს?  | ○ | ○ | ○ | ___ |
| 6. როდესაც სთხოვთ:  „გაიმეორე ხუთი, რვა, სამი“, გაიმეორებს ციფრებს იგივე თანმიმდევრობით? თუ საჭიროა, უთხარით ციფრების სხვა კომბინაცია, მაგ: "ექვსი, ცხრა, ორი". უპასუხეთ "დიახ" თუ ბავშვმა გაიმეორა ციფრების რომელიმე ერთი კომბინაცია მაინც. | ○ | ○ | ○ | ___ |

ქულა სულ ___



Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ-3™), Squires & Bricker. © 2009 and Georgian translation © 2013 Brookes Publishing Co. Translated by permission

## პიროვნულ - სოციალური

| | დიახ | ზოგჯერ | ჯერ არა | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. ჭამს კოვზით დახმარების გარეშე? (ცოტა საჭმელი შეიძლება დაეღვაროს). | ○ | ○ | ○ | ___ |
| 2. ატარებს პატარა ეტლის, ურიკას ან სხვა ბორბლებიან სათამაშოს ისე, რომ არ დაეჯახოს საგნებს და თუ კუთხესთან მოხვდა, სადაც ვერ მოუხვევს, ჯერ უკან დაიხიოს და შემდეგ შეუცვალოს მიმართულება, მოაბრუნოს ის? | ○ | ○ | ○ | ___ |
| 3. როდესაც ბავშვი სარკეში იყურება და თქვენ ეკითხებით: „ვინ არის სარკეში?“ გპასუხობთ ბავშვი „მე“-ს, ან თავის სახელს? | ○ | ○ | ○ | ___ |
| 4. ჩაიცმევს მაისურს, ქურთუკს, ან ჯემპრს დახმარების გარეშე? | ○ | ○ | ○ | ___ |
| 5. დაუსვით ბავშვს შეკითხვა: „შენ ბიჭი ხარ თუ გოგო?“ გიპასუხებთ ბავშვი სწორად აღნიშნულ შეკითხვაზე? | ○ | ○ | ○ | ___ |
| 6. ახერხებს დაიცვას რიგი და დაელოდოს სანამ მისი ჯერი მოვა მაგ: თამაშის დროს? ანუ ჯერ სხვა ბავშვი ჩამოსრიალდება, შემდეგ თვითონ. | ○ | ○ | ○ | ___ |

ქულა სულ ___



Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ-3™), Squires & Bricker. © 2009 and Georgian translation © 2013 Brookes Publishing Co. Translated by permission

## ზოგადი კითხვები

| | დიახ | არა |
|---|---|---|
| 1. ფიქრობთ რომ კარგად ესმის? თუ "არა", განმარტეთ: | ☐ | ☐ |
| 2. ფიქრობთ რომ თანატოლებივით მეტყველებს? თუ "არა", განმარტეთ: | ☐ | ☐ |
| 3. გესმით მისი ნათქვამის უმეტესი ნაწილი? თუ "არა", განმარტეთ: | ☐ | ☐ |
| 4. ესმით უცხო ადამიანებს მისი ნათქვამის უმეტესი ნაწილი? თუ "არა", განმარტეთ: | ☐ | ☐ |
| 5. ფიქრობთ რომ თქვენი ბავშვი დადის, დარბის და დაცოცავს თანატოლებივით? თუ "არა", განმარტეთ: | ☐ | ☐ |


Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ-3™), Squires & Bricker. © 2009 and Georgian translation © 2013 Brookes Publishing Co. Translated by permission

## ზოგადი კითხვები

| | დიახ | არა |
|---|---|---|
| 6. რომელიმე მშობლის ოჯახში ხომ არ ყოფილა ბავშვობის ასაკიდან სიყრუის ან სმენის პრობლემის შემთხვევა? თუ ”დიახ”, დააზუსტეთ: | ☐ | ☐ |
| 7. ხომ არ გეეჭვებათ რომ კარგად ვერ ხედავს? თუ ”დიახ”, დააზუსტეთ: | ☐ | ☐ |
| 8. ბავშვს უკანასკნელი რამოდენიმე თვის განმავლობაში, რაიმე სამედიცინო პრობლემა ხომ არ ჰქონია? თუ ”დიახ”, დააზუსტეთ: | ☐ | ☐ |
| 9. გაქვთ რაიმე ეჭვი ბავშვის ქცევასთან (ძილი, ჭამა) დაკავშირებით? თუ ”დიახ” განმარტეთ: | ☐ | ☐ |
| 10. არის კიდევ რაიმე, რაც გაშფოთებთ თქვენს ბავშვთან დაკავშირებით? თუ ”დიახ”, დააკონკრეტეთ: | ☐ | ☐ |


Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ-3™), Squires & Bricker. © 2009 and Georgian translation © 2013 Brookes Publishing Co. Translated by permission

36 თვის ASQ-3 შემაჯამებელი ფურცელი

34 თვე 16 დღიდან
38 თვე 30 დღის ჩათვლით

სახელი, გვარი:________________________________________
პირადი ნომერი:______________________________________
პროგრამის პროვაიდერი: ________________________________

გამოკვლევის თარიღი: ______________________________
დაბადების თარიღი:________________________________
მოხდა თუ არა ასაკის შესწორება ასაკობრივი ინტერვალის შერჩევის დროს? ◯ დიახ ◯ არა

**1. შეაჯამეთ ქულები და გადაიტანეთ მონაცემები ქვემოთ მოტანილ ცხრილში:** *იხ. მომხმარებლის სახელმძღვანელო დამატებითი ინფორმაციისათვის. (ყველა პასუხი „დიახ“ = 10ქულა; „ზოგჯერ“ = 5ქულა; „ჯერ არა“ = 0ქულა.) გამოტოვებული პასუხების შემთხვევაში მოახდინეთ საერთო ქულის ადაპტირება. თითოეული სფეროსათვის საერთო ქულის მაჩვენებელი შეიტანეთ შესაბამის გრაფაში. ასევე მონიშნეთ/გააფერადეთ შესაბამისი რგოლი ცხრილის მარჯვენა ნაწილში.*

| სფერო | ზღვარი | საერთო ქულა | 0 | 5 | 10 | 15 | 20 | 25 | 30 | 35 | 40 | 45 | 50 | 55 | 60 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კომუნიკაცია | 40.43 | | | | | | | | | | | | | | |
| მსხვილი მოტორიკა | 36.98 | | | | | | | | | | | | | | |
| ნატიფი მოტორიკა | 12.3 | | | | | | | | | | | | | | |
| პრობლემის გადაჭრა | 39.74 | | | | | | | | | | | | | | |
| პიროვნულ-სოციალური | 41.05 | | | | | | | | | | | | | | |

**2. პასუხები ზოგად კითხვებზე:** *(გამუქებულ პასუხებზე საჭიროა დამატებითი რეაგირება)*

1. კარგად ესმის? დიახ **არა**
   კომენტარი:
2. საუბრობს თანატოლებივით? დიახ **არა**
   კომენტარი:
3. გესმით ბავშვის ნათქვამის უმეტესი ნაწილი? დიახ **არა**
   კომენტარი:
4. ესმით უცხოებს ბავშვის ნათქვამის უმეტესი ნაწილი? დიახ **არა**
   კომენტარი:
5. დადის/დარბის/დაცოცავს თანატოლებივით? **დიახ** არა
   კომენტარი:
6. სმენის დაქვეითების ოჯახური ანამნეზი? **დიახ** არა
   კომენტარი:
7. ეჭვი მხედველობასთან დაკავშირებით? **დიახ** არა
   კომენტარი:
8. ჯანმრთელობის რაიმე პრობლემა? **დიახ** არა
   კომენტარი:
9. ეჭვი ქცევასთან დაკავშირებით? **დიახ** არა
   კომენტარი:
10. სხვა პრობლემა? **დიახ** არა
   კომენტარი:

**3. *შედეგების ინტერპრეტაცია და შემდგომი რეკომენდაციები:** *გადაწყვეტილების მიღებამდე გააანალიზეთ სრული ინფორმაცია: საერთო ქულის მაჩვენებელი, პასუხები ზოგად კითხვებზე და დამატებითი ინფორმაცია.*

თუ საერთო ქულის მაჩვენებელი ☐ (თეთრი) ზონაშია, ბავშვის განვითარებაში დარღვევა ნაკლებ სავარაუდოა.
თუ საერთო ქულის მაჩვენებელი ☐ (ნაცრისფერი) ზონაშია, საჭიროა განვითარების მჭიდრო მონიტორინგი და სასწავლო რეკომენდაციები.
თუ საერთო ქულის მაჩვენებელი ■ (შავი) ზონაშია, საჭიროა განვითარების გაღრმავებული შეფასება შესაბამისი სპეციალისტების მიერ.

**4. შემდგომი ქმედება:** *(მონიშნეთ ყველა საჭირო პასუხი)*

_____ განმავითარებელი რეკომენდაციები და ხელახალი შეფასება ___ თვეში.
_____ ინფორმაციის მიწოდება პირველადი ჯანდაცვის რგოლისათვის.
_____ რეფერალი სმენის, მხედველობის და/ან ქცევითი დარღვევების სკრინინგისათვის (მონიშნეთ ყველა საჭირო ქმედება).
_____ რეფერალი პირველად ჯანდაცვის რგოლში ან სხვა სააგენტოში (დააკონკრეტეთ მიზანი) ______________________________
_____ რეფერალი ადრეული ინტერვენციის პროგრამაში.
_____ არ საჭიროებს დამატებით ჩარევას ამ ეტაპზე.
_____ სხვა (დააკონკრეტეთ: ________________________________________.

**5. სურვილისამებრ:** მონიშნეთ თითოეული კითხვის პასუხი (Y = დიახ, S = ზოგჯერ, N = ჯერ არა, X = გამოტოვებულია).

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომუნიკაცია | | | | | | |
| მსხვილი მოტორიკა | | | | | | |
| ნატიფი მოტორიკა | | | | | | |
| პრობლემის გადაჭრა | | | | | | |
| პიროვნულ-სოციალური | | | | | | |

*ზღვრული ქულები მითითებულია ინგლისურენოვანი ვერსიის შესაბამისად და შეიძლება მოითხოვდეს კორეგირებას ეთნიკური და კულტურული კუთვნილების მიხედვით.

Ages & Stages Questionnaires®, Third Edition (ASQ-3™) Squires & Bricker © 2009
ასაკებისა და ეტაპების კითხვარი. მე-3 გადახედვა (ASQ-3™) Squires & Bricker © 2009
ქართულენოვანი ვერსია ©2013 Paul H. Brookes Publishing Co. თარგმნილია შესაბამისი ნებართვით.